ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13261352**

თარიღი:**15/05/2026**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით, 3 (სამი) წლის ვადით, ლატარიის ბილეთების რეალიზაციის მიზნით, განკარგოს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება:

   ა) ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N18 -ის მიმდებარედ არსებული ს.კ 62.09.58.891 6 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

   ბ) ქ. ახალციხე, დიდიმამიშვილის ქ. N2ა - ს მიმდებარედ არსებული ს.კ 62.09.63.434 6 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

   გ) ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. N10 -ის მიმდებარედ არსებული ს.კ 62.09.58.891 6 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. ყოველწლიური საიჯარო ქირა თითოეულ მიწის ნაკვეთზე (6 კვ.მ) განისაზღვროს 1560 ლარის ოდენობით (სულ 4680 ლარი) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 26 მარტის N 5001827526 აუდიტორული დასკვნის თანახმად.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60 ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი